აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის

ბრძანება №01-01-6/44

2021 წლის 24 ნოემბერი

ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 15 მარტის №01-01-6/22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 15 მარტის №01-01-6/22 ბრძანებაში (ვებგვერდი, 19/03/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010320000.33.058.016121) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ 55-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუქნტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უმაღლესი განათლება ინჟინერია, წარმოება და მშენებლობის მიმართულებით;

ბ) ინჟინერია და საინჟინრო საქმის, სამთო და გეოინჟინერიის და სამოქალაქო ინჟინერიის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი **ჯაბა ფუტკარაძე**